



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1401

30 / სექტემბერი / 2019 წ.



KA000003563018419

ქალაქ ფოთი, მშვიდობის ქუჩა N2ა-ში შპს „თაჩფონთ ფოთი“-ს სამედიცინო ცენტრის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2019 წლის 24 სექტემბერს, წერილით (რეგისტრაციის N 01/7368) მომართა შპს „თაჩფონთ ფოთი“-ს დირექტორმა და ითხოვა ქალაქ ფოთში, მშვიდობის ქუჩა N2ა-ში სამედიცინო ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურმა შეისწავლა გემოაღნიშნული საკითხი და დაადგინა, რომ შპს „თაჩფონთ ფოთი“-ს წერილი და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2009 წლის 24 მარტის, № 57 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 15 იანვრის, № 59 დადგენილებისა და საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

ამდენად, შესაძლებელია ქალაქ ფოთი, მშვიდობის ქუჩა N2ა-ში შპს „თაჩფონთ ფოთი“-ს სამედიცინო ცენტრის მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე და 53-ე მუხლების შესაბამისად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. გაგრძელდეს ქალაქ ფოთი, მშვიდობის ქუჩა N2ა-ში (მინის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 04.02.07.003) შპს „თაჩფონთ ფოთი“-ს სამედიცინო ცენტრის მშენებლობის ნებართვის ვადა 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 აპრილამდე.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

3. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ბრძანებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას გაეცნონ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის. ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ.№12).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

გოჩა კურდღელია